ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221862**
თარიღი:**05/07/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის" კომისიამ, შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ის ინიციატივა, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების პირობიანი აუქციონით გაცემის შესახებ" და აღნიშნავს:

1. ინიციატივას არ ახლავს პროექტი შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით.
2. არ არის ჩატარებული პარკირების მოქმედ წესთან შედარებითი ანალიზი.
3. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისია ვერ მოახდენს ინიაციატივის არსებით განხილვას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ა. რადგან არ არის წარმოდგენილი ინიციატივის პროექტი, კომისია არ მოახდენს ინიციატივის არსებით განხილვას.

ბ. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს, წარმოადგინოს აღნიშნული ინიციატივის დასაბუთებული ანალიზი (პროექტი). მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღნიშნული ინიციატივის არსებითი განხილვა და შემდგომი პროცედურების განხილვა.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი